



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №8/21

2017 წლის 30 მარტი
ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების (MERCEDES BENZ C 280, სარეგისტრაციო ნომერი QEQ 648) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალება MERCEDES BENZ C 280, სარეგისტრაციო ნომერი QEQ 648 (გამოშვების წელი – 1999, ფერი – რუხი 1/8, ტიპი – სედანი, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა CV0151996, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №WDBHA29GXJA830968) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ამასთან, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი 2017 წლის 10 მარტის №მ/128 მოხსენებითი ბარათით ითხოვს ზემოთხსენებული სატრანსპორტო საშუალების სამსახურისათვის სარგებლობაში გადაცემას.

ამდენად, მიზანშეწონილია განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალება MERCEDES BENZ C 280, სარეგისტრაციო ნომერი QEQ 648 (გამოშვების წელი – 1999, ფერი – რუხი 1/8, ტიპი – სედანი, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა CV0151996, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №WDBHA29GXJA830968)-ის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურისათვის სარგებლობაში გადაცემა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება MERCEDES BENZ C 280, სარეგისტრაციო ნომერი QEQ 648 (გამოშვების წელი – 1999, ფერი – რუხი 1/8, ტიპი – სედანი, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა CV0151996, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №WDBHA29GXJA830968) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით სამსახურეობრივი სარგებლობის მიზნით გადასცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 30 მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია